ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 16/70
CPV 18332000
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 20.09.2016 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, ვახტანგ ჭედიშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს „პრინტარეა“ ს/კ (404384395) (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ სანაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

2.1. ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 100 ცალი მაისურის შესყიდვა (CPV18332000).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 1 800 (ათას რვაასი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი აწვდის საქონელს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს თბილისი მიცკევიჩის ქ №29-29ა.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის გადაცემა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2. საქონლის გადაცემის დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

5.3. შემსყიდველი მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ შესყიდვებისა და ლოჯისტიკის მენეჯერი ნუგზარ შარიქაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არაუმეტეს 10 საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

7. **მხარეების უფლება-მოვალეობანი**

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქონლის მიწოდებიდან ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

7.1.3. მის მიერ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.1.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 1 პროცენტის ოდენობით.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლის მიღება.

7.3.2. მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების

მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. სხვა პირობები

10.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბერამდე.

10.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

10.3 ხელშეკრულებაში ცლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

10.5 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

10.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“	შ.პ.ს „პრინტარეა“
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ.№29-29ა	მისამართი: თბილისი ცინცაძის ქ №41,
ტელეფონი: 237 82 74	ტელ: +995 574 905070
საიდენტიფიკაციო კოდი: 405026877	ს/კ (404384395) საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს თი ბი სი ბანკი
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა	საბანკო კოდი:TBCBGE22
ბანკის კოდი - TRESGE22	ანგარიშსწორების ანგარიში
ანგარიშსწორების ანგარიში № 741873459	№ ა/ნGE16TB7465036020100001GEL
	დირექტორი
ვახტანგ ჭედიშვილი	თინათინ სანაძე